სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შემუშავება

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის №553 დადგენილებით შეიქმნა 2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. სახელმწიფო ენის დეპარტმანეტის ექსპერტთა კომისიის წევრები მონაწილეობენ საბჭოს თემატურ სამუშაო ჯგუფებში. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომა მთლიანად მიეძღვნა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) მიზნებისა და ამოცანების განხილვას. ექსპერტთა კომისიის წევრებთან ერთად გრძელდება მუშაობა სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან და პროფესიულ ჯგუფებთან.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) იქმნება სახელმწიფო ენის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 20 დეკემბერის №629 დადგენილების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ხანგრძლივ და ამომუმწურავ მუშაობას პოლიტიკის დოკუმენტზე.

ეს არის ისტორიული შესაძლებლობა საქართველოს მთავრობისთვის, შექმნას ქვეყნის არსებობის მანძილზე პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენის სრულფასოვან, შეუზღუდავ და სწორ ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქართული ენის ღირსეულ არსებობას მომავალში, ქართველური ენების დაცვას, საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ქართული ენის, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ინსტრუმენტის გაძლიერებას მისი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზით...

ჩვენი მთავარი მიზანი სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებაა. ენის სრულფასოვან ფუნქციონირებაში იგულისხმება ის, რომ ენას უნდა ჰქონდეს სათანადო პირობები, რათა გამოიყენებოდეს შეუფერხებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სფეროში, ყოველდღიურ ცხოვრებაში: განათლება (სკოლამდელი, საშუალო, პროფესიული, უმაღლესი), კვლევა, იურისპუნდენცია, ადმინისტრაცია, მედია, ეკონომიკა, ბიზნესი, საბანკო სფერო, რეკლამა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კულტურა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მუშაობს თერთმეტივე სამინისტროსთან, მათზე დაქვემდებარებულ სსიპებთან, ააიპებთან, პროფესიულ ჯგუფებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან მთლიანი სტრატეგიისა (2021-2030) და ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის
მიზნები და ამოცანები

(პირველადი სამუშაო ვერსია)

მიზანი 1: საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება

ამოცანა 1.1: ქართული ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სისტემის გამართვა;

ამოცანა 1.2: აფხაზური ენის ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ამოცანა 1.3: საჯარო, კერძო და ინტერნეტსივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი მიმოქცევის უზრუნველყოფა;

ამოცანა 1.4: ქართული ენის ფლობის ეროვნულ სტანდარტზე დამყარებული ერთიანი საგამოცდო სისტემის გამართვა;

ამოცანა 1.5: აფხაზური ენის საგამოცდო სისტემის გამართვა.

მიზანი 2: სახელმწიფო ენის ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის სრული ციკლის გამართვა

ამოცანა 2.1: სალიტერატურო ქართული ენის ნორმების რეგულარული განახლება ახალი ნორმების მიღება;

ამოცანა 2.2: ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება.

მიზანი 3: ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე სახელმწიფო ენის სწავლების შედეგიანობის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1: ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება;

ამოცანა 3.2: არაფორმალური სწავლებისას ქართულის, როგორც სწავლების ენის გაძლიერება;

ამოცანა 3.3: აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა;

მიზანი 4: ქართველური ენებისა და აფხაზურის მეცნიერული შესწავლა

ამოცანა 4.1: ქართველური ენების ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა;

ამოცანა 4.2: აფხაზური ენის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა;

ამოცანა 4.3: ქართველური ენებისა და აფხაზურის კვლევების საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.

მიზანი 5: ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება

<u>ამოცანა 5.1:</u> ქართულისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება;

<u>ამოცანა 5.2:</u> ქართულისთვის ტექნოლოგიური რესურსების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა;

<u>ამოცანა 5.3:</u> აფხაზურისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი 6: საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა

<u>ამოცანა 6.1:</u> საქართველოში გავრცელებულ უმცირესობათა ენების სწავლების ხელშეწყობა;

<u>ამოცანა 6.2:</u> საქართველოში გავრცელებულ უმცირესობათა ენების კვლევა და დოკუმენტირება.